

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	1

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	2
2. მომზადების საფუძველი	2
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	3
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. შემოსავალი	8
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8
7. კომერციული ხარჯები	8
8. ადმინისტრაციული ხარჯები	8
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
10. საპროცენტო ხარჯები	9
11. ძირითადი საშუალებები	10
12. არამატერიალური აქტივები	11
13. გაცემული სესხები	12
14. ინვესტიციები	12
15. მარაგები	12
16. სავაჭრო მოთხოვნები	13
17. ფული და ფულის ექვივალენტები	13
18. კაპიტალი	13
19. მიღებული სესხები	14
20. სავაჭრო ვალდებულებები	14
21. პირობითი ვალდებულებები	14
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	15
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	18
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	19
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	19
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	19
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თ & რ დისტრიბუშენის“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლებისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

ჯგუფის ფასს-ზე გადასასვლელი წინასწარი ანგარიშგების აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოსცეს უპირობო დასკვნა.

ჯგუფმა გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტისა ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითებით გათვალისწინებული მიდგომა 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში და წარადგენს მხოლოდ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას რადგან სხვაობები ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 16-21 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას

(საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების

ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვავაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

20 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.



ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

20 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“


კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	184,326	195,339
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(169,767)	(184,489)
საერთო მოგება		14,559	10,850
კომერციული ხარჯები	7	(4,431)	(3,252)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,807)	(6,081)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(50)	(632)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		55	13
საოპერაციო მოგება		4,326	898
ვალუტის გადაფასება		(9)	110
საპროცენტო შემოსავალი		496	551
საპროცენტო ხარჯი	10	(824)	(908)
მოგება დაბეგვრამდე		3,989	651
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,989	651

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:


ზურა აღნიაშვილი
დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	184,326	195,339
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(169,767)	(184,489)
საერთო მოგება		14,559	10,850
კომერციული ხარჯები	7	(4,431)	(3,252)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,807)	(6,081)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(50)	(632)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		55	13
საოპერაციო მოგება		4,326	898
ვალუტის გადაფასება		(9)	110
საპროცენტო შემოსავალი		496	551
საპროცენტო ხარჯი	10	(824)	(908)
მოგება დაბეგვრამდე		3,989	651
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,989	651

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:

ზურა აღნიაშვილი
დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	2,054	1,877	1,521
არამატერიალური აქტივები	12	243	464	665
გაცემული სესხები	13	2,529	2,666	2,777
ინვესტიციები სხვა კომპანიებში	14	329	269	149
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,155	5,276	5,112
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	15	1,109	16,141	17,338
საგადასახადო აქტივი		-	2,029	1,067
გადახდილი ავანსები		585	24	28
სავაჭრო მოთხოვნები	16	159	211	1,012
გაცემული სესხები	13	137	114	157
ფული და ფულის ექვივალენტები	17	951	1,260	2,860
სულ მიმდინარე აქტივები		2,941	19,779	22,462
სულ აქტივები		8,096	25,055	27,574
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	18	3,283	(74)	(102)
სულ კაპიტალი		3,283	(74)	(102)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	19	-	13,834	11,197
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	13,834	11,197
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		225	-	-
საგადასახადო ვალდებულება		50	-	-
მოკლევადიანი სესხები	19	4,490	578	66
სავაჭრო ვალდებულებები	20	27	10,694	16,206
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		21	23	3
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,813	11,295	16,275
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,096	25,055	27,574

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	-	102	102
დივიდენდების გამოცხადება	-	(827)	(827)
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	-	651	651
31 დეკემბერი 2017	-	(74)	(74)
დივიდენდების გამოცხადება	-	(632)	(632)
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	-	3,989	3,989
31 დეკემბერი 2018	-	3,283	3,283

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	3,989	651
შესწორებები:		
ცვეთა და ამორიზაცია	430	367
ფინანსური შემოსავალი	(496)	(551)
ფინანსური ხარჯი	824	908
უიმედო და საექვო ვალების ცვლილება	(13)	362
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	4,734	1,737
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	15,033	1,197
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	65	439
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში	(561)	4
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	2,079	(962)
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(10,669)	(5,487)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	225	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	10,906	(3,072)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(832)	(965)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი	10,074	(4,037)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(386)	(523)
მიღებული პროცენტი	496	551
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	110	28
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(632)	(827)
გაცემული სესხის უკან მიღება	116	153
აღებული/(დაფარული) სესხი	(9,914)	3,206
ინვესტიციები	(60)	(120)
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(10,490)	2,412
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(306)	(1,597)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,260	2,860
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა	(3)	(3)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	951	1,260

1. კორპორატიული ინფორმაცია

თ & რ დისტრიბუშენ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202311738. 2019 წლის 2 თებერვალს განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა რაფიელ სურამელაშვილი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ისევე როგორც მისი შვილობილები ძირითადად ჩართულია რეალიზაცია/დისტრიბუციის საქმეში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სიგარეტების და სანთებლების დისტრიბუცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ. N2 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2018	2017
შპს „თ&რ დისტრიბუშენ აჭარა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ იმერეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ კახეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ ხაშური“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ და რ დისტრიბუშენ ქვემო ქართლი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „ბეტა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. მსს ფასს-ით მოითხოვება 2018 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოადგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2017 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის აღრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და სტანდარტების რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით; 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შემენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალისტური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შემენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბერი	2.5922	3.1044
2017 წლის 1 იანვარი	2.6468	2.7940

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ინვესტიციები. არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებადი ღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა ძირითად საშუალებად აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	25
სატრანსპორტო საშუალებები	10-16
საოფისე ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	5-19

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 25 დან 40 წლამდე.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს სავაჭრო უფლებებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება	10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქცეობს კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ხდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

• ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციებს.

5. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი სიგარეტის რეალიზაციიდან	183,370	194,555
შემოსავალი სანთებლების რეალიზაციიდან	956	784
	184,326	195,339

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
რეალიზებული სიგარეტის თვითღირებულება	(169,023)	(183,885)
რეალიზებული სანთებლების თვითღირებულება	(744)	(604)
	(169,767)	(184,489)

7. კომერციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები	(2,159)	(1,795)
რეკლამა და მარკეტინგული ხარჯი	(1,171)	(590)
საწვავის ხარჯი	(590)	(458)
ავტომობილის მომსახურების ხარჯები	(390)	(319)
ცვეთის ხარჯი	(121)	(90)
	(4,431)	(3,252)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები	(4,322)	(4,657)
ცვეთა და ამორტიზაცია	(303)	(279)
იჯარის ხარჯი	(196)	(222)
საგადასახადო ხარჯი	(130)	(186)
მივლინების ხარჯები	(126)	(141)
საკონსულტაციო ხარჯები	(179)	(133)
დაზღვევა	(104)	(84)
კომუნალური ხარჯები	(69)	(69)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(39)	(96)
სხვა ხარჯები	(339)	(214)
	(5,807)	(6,081)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	13	(362)
საქველმოქმედო ხარჯები	-	(130)
სხვა	(63)	(140)
	(50)	(632)

10. საპროცენტო ხარჯები

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(824)	(908)

საპროცენტო ხარჯი სრულად უკავშირდება საბანკო კრედიტის/სესხის გამოყენებისთვის დარიცხულ პროცენტს.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები და ნაგებობები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება						
1 იანვარი, 2017	342	179	290	1,433	102	2,346
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	304	57	266	34	661
გასვლა	-	-	-	(246)	-	(246)
31 დეკემბერი, 2017	342	483	347	1,453	136	2,761
შემოსვლა წლის განმავლობაში	7	-	130	218	29	384
გასვლა	-	-	-	(22)	-	(22)
31 დეკემბერი, 2018	349	483	477	1,649	165	3,123
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2017	-	(52)	(115)	(615)	(43)	(825)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(15)	(32)	(86)	(13)	(146)
გასვლები	-	-	-	87	-	87
31 დეკემბერი, 2017	-	(67)	(147)	(614)	(56)	(884)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(20)	(46)	(125)	(18)	(209)
გასვლები	-	-	-	24	-	24
31 დეკემბერი, 2018	-	(87)	(193)	(715)	(74)	(1,069)
ნარჩენი ღირებულება						
1 იანვარი, 2017	342	127	175	818	59	1,521
31 დეკემბერი, 2017	342	416	200	839	80	1,877
31 დეკემბერი, 2018	349	396	284	934	91	2,054

12. არამატერიალური აქტივები

	ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება	სხვა არამატერიალური აქტივი	სულ
ისტორიული ღირებულება			
1 იანვარი, 2017	2,179	21	2,200
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	25	25
გასვლები	-	(10)	(10)
31 დეკემბერი, 2017	2,179	36	2,215
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	2,179	36	2,215
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი, 2017	(1,525)	(10)	(1,535)
წლის დარიცხული ამორტიზაცია	(218)	(3)	(221)
გასვლები	-	5	5
31 დეკემბერი, 2017	(1,743)	(8)	(1,751)
წლის დარიცხული ამორტიზაცია	(218)	(3)	(221)
31 დეკემბერი, 2018	(1,961)	(11)	(1,972)
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი, 2017	654	11	665
31 დეკემბერი, 2017	436	28	464
31 დეკემბერი, 2018	218	25	243

2010 წლის 1 იანვარს კომპანიასა და „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობას“ (შემდგომში “BAT”) შორის გაფორმდა “განსაკუთრებული დისტრიბუციის” ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჯგუფი წარმოადგენს BAT-ის პროდუქციის ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული უფლების მოპოვების ღირებულება აღიარდა არამატერიალურ აქტივად. ხელშეკრულების მიხედვით ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება კომპანიას გადაეცემა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც შეიძლება შეწყდეს მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან დისტრიბუტორის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.

ყოველი კვარტლის დასაწყისში დგინდება შემდეგი კვარტლის მიზნობრივი გეგმა რომელიც უნდა შეასრულოს დისტრიბუტორმა, აღნიშნულის შესრულება ფასდება შესაბამისი რეიტინგის სისტემით და კომპანიას უფლების შენარჩუნების სანაცვლოდ აქვს ვალდებულება, დააკმაყოფილოს საქმიანობის რეიტინგის შესაბამისი დონე, საქმიანობის რეიტინგი მიეკუთვნება დისტრიბუტორს საქმიანობის თითოეულ მიზნის ფაქტიურ დონის მიხედვით.

აღნიშნული მიზნები კონტროლდება მომწოდებელთან ერთად ყოველ კვარტალურად. მაჩვენებელმა 2018 წლის განმავლობაში რეიტინგის მიხედვით შეადგინა (ა) უმაღლესი კატეგორია.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გაცემული სესხები

გრძელვადიანი სესხი

მსესხებელი	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	18%	2027	2,529	2,666	2,777
			2,529	2,666	2,777

მოკლევადიანი სესხები

მსესხებელი	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	18%	2019	132	111	92
იურიდიულ პირზე გაცემული სესხები	13%-28%	2019	5	3	65
			137	114	157

14. ინვესტიციები

კომპანია	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი	329	269	149

სს „თ & რ დისტრიბუშენი“ ახორციელებს ინვესტიციებს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“. აქციების პირველი პაკეტის შეძენა კომპანიის მიერ მოხდა 2012 წელს და შემდგომ ეტაპობრივად ხორციელდებოდა დამატებით აქციების შეძენა. 2017 წლის 01 იანვრისთვის კომპანიის ინვესტიციამ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“ შეადგინა 149 ათასი ლარი, რაც წილობრივად შეადგენდა ამ უკანასკნელის კაპიტალის 7,45%-ს. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით შეიძინა 1,200 აქცია ნომინალური ღირებულებით 100 ლარი და შესაბამისად განახორციელა 120 ათასი ლარის დამატებითი ინვესტიცია, რის შემდეგაც კომპანიის წილობრივი მონაწილეობა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“ გაიზარდა 13,45%-მდე. ამის შემდეგ 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით შეიძინა 600 აქცია 60,000 ლარად რის შემდეგაც მისმა აქციებმა შეადგინა 16.45%-ი. თანხები შენიშვნაში მოცემულია ერთეულ ლარში.

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საქონელი	1,046	16,113	17,307
ნედლეული და მასალები	56	25	15
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	7	3	16
	1,109	16,141	17,338

საქონლის ნაშთის ცვალებადობა გამომდინარეობს კონკრეტულ მომენტში ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან და ჯგუფის სტრატეგიიდან შეკვეთების ოპტიმალური მართვის მიმართულებით.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან	472	480	760
სხვა მოთხოვნები	36	93	252
საექვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვი	(349)	(362)	-
	159	211	1,012

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	(362)	-
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	13	(362)
ნაშთი წლის ბოლოს	(349)	(362)

17. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	826	1,064	1,463
ფული საბანკო ანგარიშზე	125	196	1,397
	951	1,260	2,860

ნაღდი ფულის ნაშთი წარმოადგენს სალაროს ნაშთის ლიმიტს და ნაღდი ანგარიშსწორებით წლის ბოლოს დებიტორებიდან მიღებულ თანხებს რისი ინკასირებაც ვერ განხორციელდა.

18. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

დედა კომპანიის კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 200 ლარს (ერთეულ ლარში). როგორც ეს აღნიშნულია პირველ შენიშვნაში, 2019 წლის თებერვლიდან კომპანია რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა დახურულ სააქციო საზოგადოებად, კომპანიას არ მოუხდენია კაპიტალის ზრდა ან დამატებითი აქციონერების მოზიდვა.

დივიდენდები

2018 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 632 ლარი (2017 წელი 827 ლარი).

19. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	პროცენტი	სესხის სახე	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	11%-14%	საკრედიტო ხაზი	4,490	-	-
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	11%-14%	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	578	66
სულ			4,490	578	66

გრძელვადიანი სესხები

	პროცენტი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	11%-15%	გრძელვადიანი სესხი	-	13,834	11,197
			-	13,834	11,197

ყველა სესხი ნომინირებულია ლარში, სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფში შემავალი კომპანიების მოძრავი ქონებით და აღნიშნული კომპანიების 100% წილებით.

20. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულება უმეტესად წარმოადგენს ჯგუფის ექსკლუზიური მომწოდებლის წინაშე საქონლის მოწოდებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღნიშნულ მომწოდებელთან უფიქსირდებოდა ავანსი.

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ვალდებულებების შესრულება. ჯგუფს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. ჯგუფი ანგარიშგების თარიღისთვის მენეჯმენტის შეფასებით სრულად აკმაყოფილებს აღებულ ვალდებულებებს.

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2018	2017
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	1,508	1,965

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის იანვარში მოხდა სუბიექტის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც „კომპანიამ“ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. საზოგადოებად გარდაქმნის შემდგომ, „კომპანიის“ კაპიტალი დარჩა უცვლელად და შეადგინა 200 ლარი, კაპიტალი დაიყო 100 ჩვეულებრივ და 100 პრივილეგირებულ აქციად. თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, რეპორტის გაცემის თარიღამდე დედა კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 511 ლარის ოდენობის დივიდენდი.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“
და შვილობილები
კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „თ & რ დისტრიბუცია“ რომელიც არის სააქციო ზაგოდაოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სს „თ & რ დისტრიბუშენ“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2006 წელს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „თ & რ დისტრიბუშენის“ დირექტორი და მესაკუთრე არის რაფიელ სურამელაშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუცია და რეალიზაცია.

კომპანია შვილობილების დახმარებით ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისში საქონლის რეალიზაციას სრულად ახორციელებს სს „თ & რ დისტრიბუშენი“, ხოლო საქართველოს რეგიონებში საქონლის რეალიზაცია ხორციელდება შვილობილი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც ოპერირებენ რეგიონების მიხედვით

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	184,326	195,339

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე (61%). საქართველოს რეგიონებში მომარაგება და რეალიზაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხორციელდება შვილობილი საწარმოების საშუალებით, როგორც დედა კომპანიას ასევე შვილობილ კომპანიებს საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, გააჩნიათ საკუთარი ლოჯისტიკური ცენტრი და სადისტრიბუციო/სარეალიზაციო ხაზები, რიგ შემთხვევებში საჭიროების შესაბამისად ხდება ჯგუფის შიგნით დისტრიბუციაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების იჯარით გადაცემა.

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

პროდუქციის სახეობა	2018	2017	ცვლილება %
შემოსავალი სიგარეტის რეალიზაციიდან	183,370	194,555	-6%
შემოსავალი სანთებლების რეალიზაციიდან	956	784	22%
სულ შემოსავალი	183,370	194,555	

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2018 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო რაფიელ სურამელაშვილი.

წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების პარტნიორი, რაფიელ სურამელაშვილი.

სს „თ & რ დისტრიბუცია“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი
შპს "თ & რ დისტრიბუცია აჭარა"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ & რ დისტრიბუცია იმერეთი"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ & რ დისტრიბუცია ხაშური"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ & რ დისტრიბუცია ქართლი"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს ბეტა	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 13,45%
ალფა ექსპრესი
დედა კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული ჯგუფში შემავალი კომპანიების როგორც სტრატეგიული ასევე მოკლევადიანი საოპერაციო მიზნების ჩამოყალიბება-იმპლემენტაციის პროცესში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის შემოსავალმა შეადგინა 184,326 ათასი ლარი, კომპანიის შემოსავლები 2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 6%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე მოხდა აქციზის მნიშვნელოვანი ზრდა, ასევე ადგილი ჰქონდა უცხოური ვალუტის კურსის ცვალებადობას რამაც პოვა ასახვა სარეალიზაციო ფასებზე, გასაყისი ფასების არსებითმა ზრდამ გამოიწვია გაყიდვების შემცირება.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2018	2017
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.38	0.32
მოგების მარჟა	8%	6%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	1.32	0.07
სულ აქტივები	8,096	25,055
სულ შემოსავლები	184,326	195,339
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	161	169

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: სს „თ&რ დისტრიბუშენის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 144 დან 175-მდე. ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 161-ს (2017-169). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფის მთავარი მომწოდებელია ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა.

„თ&რ დისტრიბუშენი“ ბრიტიშ ამერიკან ტობაკოს -ს პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოს ტერიტორიაზე. კლიენტი ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით როგორც დიდ ქსელებზე, ასევე ბითუმად მოვაჭრეებზე და უზნის მაღაზიებზე.

ჯგუფი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე, დედა კომპანია და შვილობილი საწარმოები მომწოდებლის მხრიდან არიან მუდმივი მონიტორინგის და შეფასების ქვეშ. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი ექსკლუზიურ მომწოდებელთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

ყოველი კვარტლის დასაწყისში დგება შემდეგი კვარტლის მიზნობრივი გეგმა რომელიც უნდა შეასრულოს დისტრიბუტორმა, აღნიშნულის შესრულება ფასდება შესაბამისი რეიტინგის სისტემით და კომპანიას დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლების შენარჩუნების სანაცვლოდ აქვს ვალდებულება, დააკმაყოფილოს

საქმიანობის რეიტინგის შესაბამისი დონე, საქმიანობის რეიტინგი მიეკუთვნება დისტრიბუტორს საქმიანობის თითოეულ მიზნის ფაქტიურ დონის მიხედვით.

აღნიშნული მიზნები კონტროლდება მომწოდებელთან ერთად ყოველკვარტალურად.

2018 წლის განმავლობაში რეიტინგის მიხედვით შეფასების მაჩვენებელმა შეადგინა (ა) უმაღლესი კატეგორია.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2014 წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

მუდმივად ცვალებადი ბაზრის პირობებში კომპანია ინარჩუნებს დისტრიბუციის მაღალ ეფექტურ ფოკუსს რათა უზრუნველყოს გაყიდვების მაქსიმიზაცია, საუკეთესო ბრენდები სხვადასხვა საფასო სეგმენტებში უზრუნველყოფს კომპანიის პროდუქციის მაღალ პოპულარობას და გაყიდვების სტაბილურობას.

ასევე დაგეგმილია რომ გამარტივდეს მენეჯმენტი და დაინერგოს ახალი მართვის სისტემები რათა მოხდეს ხარჯების შემცირება და პროდუქტიულობის გაუმჯობესება; კომპანია მუშაობს იმისათვის რომ შეინარჩუნოს მომხმარებელთან საკომუნიკაციო არხები რათა მოხდეს ინოვაციური პროდუქციაზე ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, განსაკუთრებით ეხება მომავალ ნაკლებ რისკიანი პროდუქციის შეთავაზებას რასაც აქვს დიდი წარმატება დასავლეთის ბაზრებზე.

არსებული მძიმე რეგულირების და დიდი კონკურენციის პირობებში დისტრიბუციის კადრების განვითარებას აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, რისთვისაც დაგეგმილია განვითარების პროგრამები.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2018	2017	გადახრის ახსნა
საერთო მოგება	14,559	10,850	შენიშვნა 1
მთლიანი აქტივები	8,096	25,055	შენიშვნა 2
სესხები	4,490	14,412	შენიშვნა 3
კრედიტორული და სხვა დავალიანება	27	10,694	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

კომპანიის საერთო მოგების ზრდა გამოწვეულია წლის განმავლობაში მოგების მარჟის მნიშვნელოვანი ზრდით.

შენიშვნა #2:

საქონლის ნაშთის ცვალებადობა გამომდინარეობს კონკრეტულ მომენტში ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან და ჯგუფის სტრატეგიიდან შეკვეთების ოპტიმალური მართვის მიმართულებით. მარაგების მართვის კუთხით ჯგუფის მთავარი მიზანია მომხმარებლისთვის პროდუქციის უწყვეტად მიწოდება და შეკვეთების განთავსება ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.

შენიშვნა #3:

2018 წელს სასესხო ვალდებულების შემცირება დაკავშირებულია მარაგების შემცირებასთან. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფი საკრედიტო ხაზებს იყენებს მიმდინარე სამუშაო კაპიტალში არსებული მოთხოვნის შესავსებად, მარაგების და სავაჭრო მოთხოვნების შემცირება პირდაპირ კავშირშია მიღებული დაფინანსების მოცულობასთან.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2018	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729.6	3,726.4
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.1	16.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,345.5	4,046.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	4.7%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.60%	6.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,232.0	1,347.0
უმუშევრობის დონე, %	12.70%	13.90%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვნა რისკად, რადგან მომხმარებელს უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით გაყიდვებს, მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტი კი შეადგენს ერთ კვირას. კომპანიას შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი საკრედიტო რისკის ეფექტისაგან.

საბაზრო რისკი


საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს არ წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები როგორც შესყიდვის-რეალიზაციის ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:



ზურა აღნაშვილი
დირექტორი

მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები როგორც შესყიდვის-რეალიზაციის ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:

ზურა აღნიაშვილი
დირექტორი